12418/3-77/21 2 21122021

12418/3-77/21
21-12-2021

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია სამომხმარებლო ფასების ინდექსების დათვლის მეთოდოლოგიის შესახებ, კერძოდ:

- რეგიონული წერტილების ჩამონათვალი საიდანაც აგროვებთ ინფორმაციას სამომხმარებლო ფასებზე.
- აღნიშნულ რეგიონულ წერტილებში არსებული სავაჭრო ობიექტების ჩამონათვალი და მისამართები, საიდანაც აგროვებთ ინფორმაციას სამომხმარებლო ფასებზე.
- კონკრეტულ სავაჭრო ობიექტებში მოგროვებული ნედლი მონაცემები.
- მეთოდოლოგია და ვადები, რომლითაც ხდება აღნიშნულ სავაჭრო ობიექტებში ინფორმაციის შეგროვება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქსტატი
National Statistics Office of Georgia
GEOSTAT

2766-6-2-202112271654

N 6-2766 27/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ალექსანდრე რაქვიაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი წერილის (12418/3-77/21; 21-12-2021) პასუხად, დანართის სახით გიგზავნით სამომხმარებლო ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს. მონაცემთა შეგროვების ვადების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ პუნქტში 3.1 "ფასების რაოდენობა და მათზე დაკვირვების ვადები". რაც შეეხება გამოკვლევაში მონაწილე ქალაქებს, ფასების შეგროვება ხორციელდება ქვეყნის ექვს ქალაქში - თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი და ზუგდიდი.

გარდა ამისა გაცნობებთ, რომ ფასების დეტალური ინდექსების მონაცემთა ბაზა განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/293/samomkhmareblo-fasebis-detaluri-indeksebi

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ინფორმაცია სამომხმარებლო ფასების გამოკვლევაში მონაწილე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების შესახებ გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის და განკუთვნილია შიდა მოხმარებისთვის.

იხილეთ დანართი.

პატივისცემით,

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, ს. დადიანის №30, 0180
ტელ: +995 32 236 72 10
ფაქსი: +995 32 236 72 13
ელ-ფოსტა: info@geostat.ge
www.geostat.ge